შენ შენივე ხალხის სახელი დაირქვი და ვით დროშა გვერდით ამოიყენე! და შენი ცეცხლი შენს ხალხში ღვივის, და შენი მზე დუღს სულიერ არსად უკრაინისა, ჩვენო გენიალურო პოეტო, მიწყივ მეამბოხევ, შენ ტკბილხმოვანო ნიმფავ ჩვენი არსობისა, ჩვენო შეურყევლობავ! სინდისო ჩვენო!

სულ წვეთ–წვეთად, ნამცეც–ნამცეც აღსდექ ჩვენთვის — ვოლინის ტბებიდან და პოლტავის ველებიდან, ბუკოვინის ტყეებიდან და მინსკის ნისლიდან, ლიბანის უდაბნოთა სუნთქვიდან და სურამის მწუხარე თოვლიდან — ხმა გავცე!

გამოგვეცხადე შენი ჭაღარა ფრთების თუნდაც ერთი მოქნევით! შეგვძინე თუნდაც ერთი თავთავი შენი უსაზღვრო ოქროყანისა! გამოგვეცხადე შთამომავალთ ზარების რეკვად, ო, თუნდაც ერთხელ, ზარების რეკვად გამოგვეცხადე!

შენ — ჩვენი ზეცის უკვდავო სამრეკლოვ!

კვლავინდებურად

ჩვენს ძველთაძველ ისტორიას ჰყავდა უამრავი მოძღვარ–მასწავლებელი გვასწავლიდა ფეხაწყობით სიარულს უამრავი მოძღვარ–მასწავლებელი გვატკეპნივნება კვერს — გვავლისგან დამსკდარ მიწას ახალგაზრდა საგანგებოდ შერჩეული უამრავი მოძღვარ–მასწავლებელი გვასწავლიდა ფეხაწყობით სიარულს ეფრეიტორთ მუდამ ვიდაც ხელს უშლიდა რომ ესწავლათ კაცობრიობისათვის ფეხაწყობით სიარული ერთი ორი



земного буття, безсмертна горлице української долі, простуджений соловейко душі, який вічно клекотатиме у завірюсі.

Спогади і листи - в них Ти, як сонце в хмарах. Тобою вони просвічені, пломенем Твоїм пронизані, - а де сам безжалісний гордий промінь?!

Ім'я свого народу взяла Ти своїм найменням і поставила коло себе як стяг! І пломінь твій у Твоїм народі, і сонце Твоє кипить у духовнім єстві України, геніальний поете наш, вічна революціонерко, омаяна багряними корогвами, чистоголоса Мавко нашої суті, наша Незламносте! Совісте наша!

Воскресни нам по капелині, пилиночці - з волинських озер і полтавських полів, із зелені Буковини і туманів Мінська, з подиху пустелі Лівійської і скорботних снігів Сурамі - озовися!

З'явися нам хоч одним помахом свого крила сивого! Знайдися нам бодай одним колосом із свого безмежного золотого лану! Об'явися нам, нині сущим, хоч одним передзвоном-клекотом!

Ти - вічний дзвоне нашого неба!

TAK, CAME TAK

Так багато вчителів
Мала ця стара історія
Так багато вчителів
Вчили нас ходити в ногу
Росплескали старого коржа
Цю стару репану землю

იწეწებოდა ისევ გორგალი
მოგვივლენდნენ კვლავაც ახალ ეფრეიტორს
სანამ იგი თავის როლში შევიდოდა
სანამ იგი მოირგებდა ნიღაბს
კაცობრიობას კვლავ ყველაფერი ავიწყდებოდა
კაცობრიობა ფეხაწყოებით ვერ დადიოდა
ასეა დღესაც
კვლავინდებურად

უკანასკნელი მკითხველი

პაბლო ნერუდას თემაზე

ირონიული

ექსპედიცია აქლემებით საჰარისკენ გამგზავრა.
ექსპედიციას ამ ცისქვეშეთში ერთადერთი ოცნება აქვს
არათუ ჰპოვოს ნაკვალევი თემურ ლენგისა
და ჩონჩხი მისი ბასრი მახვილის —
არამედ, თუნდაც ერთადერთი ნაღდი მკითხველი!
ექსპედიცია ვარსკვლავთა ფრთებით მიფრინავს, მიჰქრის
კოსმიური სივრცეებისკენ,
ექსპედიცია ტანჯვით, წამებით
კვლავ გალაქტიკის მიღმა მიიწევს,
ექსპედიციამ რწმენა დაჰკარგა უკანასკნელი —
იპოვოს თუნდაც ერთადერთი ნაღდი მკითხველი!
ძლიერ მომრავლდნენ პოეტები, პოეტესებიც,
თვალშისაცემად ნაყოფიერნი,
სამაგიეროდ გაქრა მკითხველი
(როგორც ოდესღაც გაქრა ურჩხული),
შთამომავალი წითელ წიგნში შეიტანს ალბათ,
რომ შეისწავლოს სულ დაწვრილებით
უკანასკნელი
ყველაფრისმღრღნელი
არაფრისმთქმელი
არცრის შემქმნელი
ერთადერთი ნაღდი მკითხველი!...

უკრაინულიდან თარგმნა სოსო ჩოჩია

Юні юначі підбори
Так багато вчителів
Вчили нас ходити в ногу
Та хтось завжди заважав єфрейторам
Навчити людство ходити в ногу
Розмотувалась обмотка
Муляла збита густілка
Чи призначали нового єфрейтора
Поки той призвичаювався
Людство знову розчувалось
Людство знову ходило не в ногу
Так і дісталось в сьогодні

ОСТАННІЙ ЧИТАЧ

На тему Пабло Неруди

Іронічне

Експедиція на верблюдах іде в божевільні
Сахари.
Експейція лиш єдиним на світі марить:
Знайти не сліди Тамерлана,
не скелет із його меча -
Знайти хоч єдиного читача!
Експедиція на зорельотах летить у космічні
глибини,
Експедиція у гризотах поза галактику плине,
Експедиція уже віру останню втрача
Знайти хоч єдиного читача!
Розплодилось поетів із плодючими поетесами,
А читач вигибає (так було колись з ірокезами).
У Червоній Книзі Природи - бери, нащадку, вивчай
Останнього
Всеґризучого
Неписучого
Єдиного читача!.

На грузинську мову переклав Сосо Чочія

აქ შეიძლება იყოს თქვენი რეკლამა

ТУТ МОЖЕ БУТИ ВАША РЕКЛАМА

გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ქართულ სათვისტომოს

Просимо підтримати грузинську діаспору

ВГО «ВСО «Георгія»

№ 26009700052317

ЄДРПОУ 37561309

МФО 380838

у ПАТ КБ «ПРАВЕКС-БАНК»



სტუმარი ღვთისაა — თამადის ინსტიტუტი ქართულ ეთნოკულტურულ ჭრილში

ГІСТЬ ВІД БОГА - ІНСТИТУТ ТАМАДУВАННЯ В ГРУЗИНСЬКОМУ ЕТНОКУЛЬТУРНОМУ РОЗРІЗІ



სუფრაზე, ნადიმის დროს, სტუმართან ურთიერთობის წარმართვა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მუდამ დღესასწაულისა და კეთილგანწყობის სულისკვეთებით ხდებოდა. თანდათანობით იხვეწებოდა სუფრის წინამძღოლის, წარმმართველი ფუნქციის მატარებელი ადამიანის ფენომენი, რომელსაც, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის დასაწყისში „თამადა“ უწოდეს.

სტუმარი ღვთისაა — ქართველთათვის ღვთის მეთერთმეტე მცნებაა და ერთიან სოციალურ ცნობიერებაში ისეა დამკვიდრებული, როგორც გამორჩეულად წმინდა, საკრალური ფენომენი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სტუმრობა უფლის მოსვლასთან არის გაიგივებული. ქართულ ფოლკლორში მრავლადაა ზღაპარი თუ პოეტური ნაწარმოები, როცა უცხო, უცნობი ადამიანის მოულოდნელი ვიზიტი ერთგვარ გამოცდა-განსაცდელად იქცევა ხოლმე მასპინძლისათვის, რადგან შემდეგ გაირკვევა, რომ ის, ვისაც კარგად ან ცუდად დაუხვდნენ, თავად უფალი იყო, სახეშეცვლილი. მასპინძელს ღმერთი გამოეცხადა, რათა განსაზღვრულიყო მისი მორალურ-ეთიკური სახე და ამ ერთ, თითქოს, უბრალო შემთხვევაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. რაკი ქართველი სტუმრის არსში ღვთაებრივ ნაწილს ხედავს, ამიტომ მის დასახვედრად ყოველთვის გულის ძახილით, განსაკუთრებული არტისტული მონდომებით, რიტუალურად ირჯება — საუკეთესო ადგილი სუფრასთან სტუმრის ზვედრია, საუკეთესო კერძს მას მიაართმევენ, სტუმარსვე ეკუთვნის გამორცეული საწოლი და

За столом під час трапезні налагодження відносин з гостями у різні історичні епохи завжди відбувалось у святковому та доброзичливому настрої. Поступово формувався феномен очільника застілля, якого орієнтовно з початку XIX століття називали тамадою.

Гість від Бога - це для грузинів наче «одинадцята заповідь», і займає місце у єдиній соціальній свідомості як особливий сакральний феномен. Можна сказати, що прихід гостя ототожнюється з «появою святого». У грузинському фольклорі є багато казкових чи поетичних творів, де розповідається, що візит невідомої особи був своєрідним випробовуванням для господаря, оскільки згодом з'ясовувалось, що людиною, яку приймали добре або погано, був сам Господь, який змінював свій образ. До господаря приходив Бог, аби визначити його морально-етичне обличчя. Від цього начебто простого випадку залежало те, як проходило подальше життя господаря. Оскільки грузин вбачає у гостеві божественну частинку, до гідної зустрічі готуються зі щирим серцем та особливою артистичною старанністю.

ძვირფასი ქვეშაგები, თუ იგი ღამის გასათევად დარჩენას ინებებს... ქართველთათვის დამახასიათებელი ვრცელი და ხანგრძლივი ნადიმების არსში არა მხოლოდ მოლხენისა და განტვირთვისაკენ მისწრაფება, არამედ, უპირველესად, სტუმრის სიყვარული და მისთვის თავის მოწონების გაცნობიერებული სურვილი უნდა დაინახოთ.

სუფრაზე ნადიმის დროს, სტუმართან ურთიერთობის წარმართვა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მუდამ დღესასწაულისა და კეთილგანწყობის სულისკვეთებით ხდებოდა. თანდათანობით იხვეწებოდა სუფრის წინამძღოლის, წარმმართველი ფუნქციის მატარებელი ადამიანის ფენომენი, რომელსაც, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის დასაწყისში „თამადა“ უწოდეს. თავად ფენომენი არქაულია თუ არა, ამაზე მეცნიერებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა აქვთ. თუმცა წარმართულ ეპოქაში, როცა ნადიმი ბახუსისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალების ნაწილი იყო, მას აუცილებლად სჭირდებოდა აღმასრულებელი, განმკარგავი, ამ საქმეში დახელოვებული, გრძნეული პიროვნება, რომელიც ერთგვარი მეკავშირე იყო წარმართულ ღვთაებასა და ადამიანებს, ცასა და მიწას შორის. იგი გარკვეულწილად ქურუმის ფუნქციას ასრულებდა და, შესაძლოა, სწორედ ის იყო თამადის პროტოწინაპარი, თამადისა, რომელიც დღესაც ქართველთა ცხოვრების წესის ეგზომ განუყოფელი ნაწილია. ქრისტიანულ საქართველოში თამადას, უპირველესად, სუფრაზე ზნეობრივი კანონების დამცველის როლი დაეკისრა და, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული აქვს ზეციურ და მატერიალურ სამყაროებს შორის არაცნობიერი კავშირი — იგი წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით თითქმის იგივეა, რაც ლოცვა. მისი უმთავრესი სიტყვა — „გაგიმარჯოს“ ან „გაუმარჯოს“ — ადამიანის მიერ მეორე ადამიანის დალოცვის უმშვენიერესი ფორმაა. საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში, სადაც ქრისტიანული რიტუალები წარმართულთან იყო აღრეული, პიროვნება, რომელიც ხუცესისა და ქურუმის ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენდა, რელიგიურ რიტუალსაც წარმართავდა (იგი უცნაურად ითავსებდა სახეშეცვლილ ქრისტიანულ ლოცვას და ცხოველის დაკვლასაც კი) და მის შემდეგ გამართულ ნადიმსაც უძღვებოდა ანუ თამალობდა. ასეთი რიტუალები, რამდენადმე გამარტივებული სახით, დღესაცაა შემორჩენილი ფშავსა და ხევსურეთში.

ძველ ქართულ ლიტერატურასა თუ ისტორიულ წყაროებში სიტყვა „თამადა“, ვიდრე მე-19 საუკუნემდე, არ გვხვდება. არც ერთ-ერთ პირველ ქართულ ლექსიკონში, სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ იხსენიება. მის წარმოშობას მონათესავე სიტყვებს „თავადს“ და „თამამს“ უკავშირებენ. თავადი თავკაცს, წინამძღოლს ნიშნავს და ქართულ ენაში უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელთა აღმნიშვნელად დამკვიდრდა. ძველ ქართულ სახარებაში ხშირად უფლისა ჩვენის, იესო ქრისტეს სინონიმადაა გამოყენებული... მეორე სავარაუდო სიტყვა „თამამი“ კი ლალ, გამბედავ, ოდნავ კადნიერ, თავისუფალი ქცევის, რამდენადმე მოურიდებელი ადამიანის განსაზღვრებად იხმარება. ეს ორივე სიტყვა ეტიმოლოგიურად საეგზეთო შესაძლებელია, „თამადის“

Навіть якщо у сім'ї сталася якась неприємність, гість у жодному випадку не повинен цього відчувати. Найкраще місце за столом належить гостеві. Йому подають найліпшу страву і ліжко, якщо він бажає залишитись. В основі змістовних та довгих застілля, що притаманні для грузинів, не є тільки прагнення до веселощів та розваг, а усвідомлення прояву любові до гостя та бажання сподобатись.

За столом під час трапезни налагодження відносин з гостями у різні історичні епохи завжди відбувалось у святковому й доброзичливому настрої. Поступово формувався феномен очільника застілля, якого ймовірно на початку XIX століття називали тамадою. Феномен архаїчний чи ні, на це у науковців немає однозначної відповіді. Хоча у часи язичництва в Грузії, коли застілля на честь Бахуса було частиною культового ритуалу, для нього обов'язково був потрібен виконавець та розпорядник, людина, досвідчена у такій справі, який був своєрідним провідником між язичницьким богом та людьми, між небом і землею. Він свого роду виконував функцію жерця, і, можливо, саме він був прототипом тамади, який до сьогодні є невід'ємною частиною повсякденних традицій. У християнській Грузії тамада мав щонайперше роль захисника моральних законів за столом. І, звичайно, зберігав несвідомий зв'язок між небесним та матеріальним світами: він проголошував тости, які за своїм змістом були подібними до молитви. Його основне слово - «gaḡimardjos» або «gaumarardjos» (будь переможцем, завжди перемагай) - є найгарнішою формою побажання чи благословення. У деяких гірських куточках Грузії, де християнські ритуали були перемішані з язичницькими, особа, яка персоніфікувала симбіоз жерця і священика, провадила релігійні ритуали (поєднувала християнську молитву разом із жертвопринесенням) і керувала застіллям, яке відбувалось після них, тобто тамадувала. Такі ритуали у дещо спрощеній формі до сьогодні є збережені у Пшаві та Хевсореті.

У старій грузинській літературі чи історичних джерелах слово тамада не зустрічається до XIX століття, не згадується воно і в одному з перших грузинських лексиконів Сулхана Саби Орбеліані «Збірка слів». Його виникнення пов'язують з грузинськими аналогами понять



წინაპარი იყოს.

ქრისტიანობამდე, ქრისტიანობის შემდეგ ქართველთათვის ღვინო — ნადიმის უმთავრესი ატრიბუტი — ყოველთვის ატარებდა იდუმალ დანიშნულებას. ღვინის მირთმევის განკარგვა კი განსაკუთრებული შინაარსის მისიაა. ვინც ხელმძღვანელობს ღვინის სმას, სწორედ იგია მთავარი დამოღვწევი და ლოცვისა და მოღვნის ეს საოცარი მისტერია სწორედ თამადამ — ღირსეულთა შორის ღირსეულმა — უნდა შეასრულოს. იგი უნდა იყოს როგორც სულიერი, ასევე ყოფითი პროცესების წარმმართველი, ნამდვილი თავკაცი და „სტუმარი ღვთისაას“ უპირველესი ქურუმი.

არქანჯელო ლამბერტის, იტალიერ მისიონერს, რომელმაც საქართველოში მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში იმოგზაურა, ფრიად გაჰკვირვებია ქართველების სუფრასთან დიდხანს სხდომის წესი. მისიონერი მეგრელთა ნადიმს აღწერს და ამბობს, ეს დრო ისე გაიწელება ხოლმე, რომ გეგონება, დასასრული აღარ ექნებაო. საინტერესოა, რომ ლამბერტი, რომელიც ყველაფერზე შესაშური დაწვრილებით მოგვითხრობს, არ ახსენებს თამადას, როგორც ასეთს. მისი აღწერილობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამადის ფუნქცია მე-17 საუკუნის საქართველოში მასპინძელს ჰქონდა აღებული საკუთარ თავზე და ლხინის თავკაცის არჩევის დემოკრატიული ინსტიტუტი უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა. როგორც მისიონერი გვიყვება, მასპინძელი ხშირად ფეხზე მდგომარე იძლევა განკარგულებებს, რათა სტუმრებს მერიქიფენი და კერძების მომრთმევენი ღირსეულად ემსახურონ. მისიონერი იმასაც საზგასამით აღწერს, თუ რა განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა სუფრასთან მასპინძელი (ანუ თამადა) და, საზოგადოდ, ქართველი ადამიანი უცხოელ სტუმრებს. ქეიფის დროს სუფრის თავკაცი ყველას პატივს მიაგებს, მათი ღირსებისა და წოდების კვალობაზე.

ეთნოლოგთა აზრით, ტამადის ინსტიტუტის საბოლოო ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, მასპინძელი თვითონ ირჩევდა ლხინის მიმდინარეობის წარმმართველ ადამიანს. ასეთ დროს ოჯახის უფროსი ნებაყოფლობით თმობდა პოზიციებს, რადგან

«князь» та «зухвалий». Ці два слова можуть бути етимологічними основами поняття «тамада».

У дохристиянські часи і зараз вино - основний атрибут застілля - завжди мало таємниче призначення, відтак розпоряджатися процесом його випивання було особливо змістовною місією. Той, хто керує споживанням вина, є тим, хто благословляє. І цю дивовижну містерію дозвілля повинен виконати саме тамада - гідний серед гідних. Він повинен бути провідником духовних та життєвських процесів, людиною, що дотримується істинності поняття «гість від Бога». Італійський місіонер Арканджело Ламберті, який подорожував Грузією у першій половині XVII століття, дивувався тривалим застіллям. Він описує гостину мегрелів і розповідає, що цей процес настільки затягується, наче він триватиме вічно. Цікаво, що Ламберті, який вирізнявся деталізацією своїх розповідей, не згадував тамаду у цьому процесі. З цього можна зробити висновок, що функцію тамади у той час виконував господар. А демократичний інститут обирання очільника застілля сформувався пізніше. Як розповідає місіонер, господар, здебільшого стоячи, часто давав розпорядження, аби ті, хто наливали, та ті, хто роздавали страви, гідно обслуговували гостей. Також він описує, як по-особливому шанобливо відносяться за столом господар і загалом грузини до іноземних гостей. Під час святкування тамада вшановує всіх присутніх, підкреслюючи чесноти кожного.

На думку етнологів, на першому етапі остаточного

საუფრასთან უკვე თამადაა უფროსი და ყველა მისი ნებას ემორჩილება. ხოლო შემდგომ პერიოდში, მე -19 საუკუნის ბოლოს, ეს წესი ნაწილობრივ შეიცვალა. ზოგჯერ სუფრის წევრები ავალუბდნენ ნადიმის გაძლიერას ყველასათვის მისაღებ, სასურველ პიროვნებას. თამადას მუდამ წილად ხვდებოდა არტისტულ, გონებამახვილ, დარბაისელ კაცს, რომელსაც თრობა გარეგნულ იერსახეს და ქცევას არ უცვლის. ეს წესი დღესაც გარდაუვლად მოქმედებს თანამედროვე ქართველთა ყოფაში და, როგორც სამკაცთან ტრაპეზს, ასევე, ასეულობით სტუმრით დამშვენებულ ნადიმს ყოველთვის ჰყავს წინამძღოლი. იგი ძლიერ რთულ სამუშაოს ასრულებს –დგამს სანახაობას, სადაც ადამიანებმა საკუთარი თავი უნდა გამოავლინონ, ადგენს სადღევრძელობებს, სიმღერის, ცეკვის, სუფრის წევრთა მჭერმეტყველების თანმიმდევრობას. თამადის ნიჭიერებისა და ძალისხმევის წყალობით, ქეიფის დროს ადამიანური ენერგიის არნახული, ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს. თამადა ამ ენერგიას კრებს და ერთიან საზოგადო სიკეთედ გარდაქმნის. ეს პროცესი საზღაურია მის მიერ გაწეული შრომისა, რადგან თამადა თავადაც განიცდის მორალურ კმაყოფილებას სიყვარულის ნიშნით წარმართული სუფრის გამო და მისი, როგორც ნადიმის უმთავრესი შემოქმედის ამბიციებიც დაკმაყოფილებულია. როგორც წესი, თამადა არა მხოლოდ ოჯახის კარგად მცნობი და კეთილდამგოფი უნდა იყოს, არამედ ადამიანის ბუნების ღრმად მჭვრეტე და რამდენადმე ფსიქოთერაპევტის უნარით აღჭურვილიც. შეკრებილ საზოგადოებაში მან არავე უნდა დატოვოს ყურადღების გარეშე და ყველას მისცეს თვითგამოხატვის საშუალება. ევროპაში გადასახლებული ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც არაერთი ესე მიუძღვნა ქართველთა ეთნოკულტურულ ყოფას, მართებულად ამჩნევს ჩვენში ღრმად დაფარულ მისწრაფებას პირველობისაკენ და იმასაც, რომ ეს მისწრაფება განსაკუთრებით ლხინის დროს ვლინდება. „ქართულ ნადიმზე ყველა პირველია“, — აღნიშნავს მწერალი და იქვე დასძენს, რომ სწორედ თამადამ უნდა გამოავლინოს კაცის პირველობა. ზოგი საუკეთესო მროკავი ანუ მოცეკვავეა, ზოგი —მომღერალი, მორკინალი, მჭერმეტყველი თუ მოშირიე. თუ ადამიანი, ერთი შეხედვით, არაფრითაა გამორჩეული, თამადამ რაღაც მაინც უნდა იპოვოს მასში, რითაც ეს ადამიანი თავს მოიწონებს — ერთგულება, სიმამაცე, გაბედულება და ა.შ. თამადამ, რომელსაც უპირველესად პრომეთეული საფრთხის დაძლევა აკისრია, უნდა შექმნას ადამიანთა თანაარსებობის ერთიანი, პოლიფონიური სურათი და ამით დაამარცხოს ქართველთათვის დამახასიათებელი ყველაზე დიდი საშიშროება —მისწრაფება განკერძოების, განაპირებისა და გათიშევისაკენ. თამადის მიერ დადგმული სანახაობრივი სპექტაკლი მისი მხრიდან ერთგვარი მბრძანებლობის ტონალობებს შეიცავს. 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის ამ ტონალობებმა გარკვეული ირონიზაცია შეიძინა და უფრო მბრძანებლობანას თამაშს დაემსგავსა. თუმცა თამაშის წარმოებაზე უკვე არსებობს ერთიანი სოციალური შეთანხმება. სუფრაზე მას ემორჩილებიან და მისგანაც მმართველობის უნარის გამოვლენას ელიან, ოღონდ, ისევ და ისევ, თამაშის წესების ფარგლებში. ყველაზე დიდი იმედგაცრუება სუფრასთან მსხდომთათვის სწორედ უხეირო თამადის გვერდით ყოფნაა. ზოგჯერ თამადის მიერ წარმოჩენილი ადამიანთა მრავალსახოვნება ხშირად ისეთი საინტერესო და მოულოდნელი ხდება, რომ ქართველთა ქეიფი ნამდვილი აღმოჩენების ადგილად

формування інституту тамади господар сам обирав очільника на застіллі. В цей час голова родини добровільно поступався позиціями, оскільки за столом тамада ставав старшим, і всі підкорювалися його волі. А згодом, з кінця XIX століття, це правило частково змінилося. Подеколи присутні на застіллі доручали цю місію людині, яка була прийнятною та бажаною для усіх. Ця місія завжди діставалася особі артистичній, кмітливій та людині шляхетній. Людині, яка у стані сп'яніння не змінювала своєї поведінки та не втрачала чеснот. Це правило незмінно діє і у побуті сучасних грузин. Як пирування трьох людей, так і забава, де присутні сотні осіб, завжди мають свого очільника. Він виконує дуже складну роботу, дає право кожному проявити красномовність, встановлює черговість тостів, пісень і танців. Завдяки його здібностям та зусиллям під час святкування відбувається здоровий обмін людською енергетикою. Тамада збирає цю енергію і скеровує її на благо усіх присутніх. Цей процес є платою за його старання, оскільки тамада отримує моральне задоволення від проведеного застілля у атмосфері любові, і його амбіції є цілком задоволені. Як правило, тамада повинен не тільки бути добрим знайомим родини господаря та людиною, до якої вона прихильна, але й знавцем людської натури, своєрідним психологом. У товаристві він нікого не може лишити поза увагою і повинен усім надати можливість самовиразитись. Виселений у Європу грузинський письменник Грігол Робакідзе, який не одне есе присвятив етнокультурному побуту грузинів, правильно підмічає, що у них глибоко приховане прагнення до першості і те, що це прагнення проявляється також під час застілля. «За грузинським столом кожен має в чомусь першість», - зазначає письменник і додає, що саме тамада має вивідати цю здібність у тій чи іншій людині. Хтось найкраще танцює, хтось співає, інший є найкращим борцем, ще інший - найбільш красномовний. Якщо людина на перший погляд нічим не вирізняється, тамада все одно мусить знайти щось таке, чим цей гість зможе пишатися - вірність, сміливість, хоробрість. Тамада повинен створити суцільну поліфонійну картину співіснування різних людей і таким чином побороти притаманне для грузин найбільш небезпечне прагнення до відокремлення і відмежування. Видовищному спектаклю, постановником якого є тамада, характерна свого роду наказова тональність. За столом йому підкоряються і вимагають від нього авторитетності в межах правил застілля. Найбільшим розчаруванням для гостей є сидіти разом із недолугим тамадою.



იქცევა ხოლმე, რადგან ნიჭიერად წარმოთქმული სადღევრძელოს შემდეგ, კარგად ნაცნობი ადამიანიც კი, შესაძლოა სრულიად ახალი, უცნობი შტრახებით გაბრწყინდეს. ამ ყველაფერს კი დიდი ოსტატობა, კაცთმოყვარეობა და გულწრფელობა სჭირდება. აღმოსავლელი ბრძენისა და მოგვის სულ მცირე ნაწილი მაინც უნდა ღვიოდეს შენში, რომ ისეთი სადღევრძელო წარმოსთქვა, რომელიც ადამიანს აბედნიერებს — არა ტანჯვის, არამედ სიამოვნების გზით, კათარზის განაცდევინებს.

რაკი ქართული კულტურა დიონისური, ანუ მოძრავი ფენომენია, თამადას კიდევ ერთი დელიკატური და საკმაოდ ძნელადშესასრულებელი მოვალეობაც აქვს — მან უნდა მოახერხოს, რომ ბახუსურ საწყისებზე აღმოცენებული ნადიმი მხოლოდ ლხინად დარჩეს და ბაკქანალიაში არ გადაიზარდოს, რის საშიშროებამაც განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა მე-20 საუკუნის საქართველოში.

მკვლევართა შორის არსებობს მოსაზრება, რომ თამადის ინსტიტუტის ამ სახით ჩამოყალიბება ქართველების მონარქიაზე ნოსტალგია და მეფის მონატრების დაკმაყოფილებაა, მცირე მასშტაბში განხორციელებული. სუფრა—ლოკალური კულტურული სივრცეა, სადაც თამადა ცდილობს დაამკვიდროს მორალური და ზნეობრივი ფასეულობები, განახორციელოს ადამიანური ყოფის იდეალური მიზნ-მოდელი. ოღონდ, თანდათანობით, თამადის შინაარსი კარგავს დამახასიათებელ პათოსს, ნელ-ნელა ხდება მისი დესაკრალიზაცია. იცვლება მოთხვენები. თანამედროვე თამადა ზოგჯერ უკვე, თითქმის თავად თამაშობს პაროდიას საკუთარ თავზე და ამგვარი ირონიზაცია უფრო შემოქმედებითი, იუმორის უხვად შემცველი და შესაბამისად წარმატებულია. ყოველ შემთხვევაში, ამ ინსტიტუტის შენარჩუნება ქართულ სივრცეში ჯერჯერობით არანაირ უხერხულობას არ იწვევს და მასში მიმდინარე ცვლილებებიც, ალბათ, სოციალურ-კულტურულ ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს ნაწილობრივ მაინც შეესაბამება.

მარინა სირბილაშვილი-ყიფშიძე

ინკოლი რізносторонність проявлених людських якостей стає настільки різноманітною, цікавою і несподіваною, що дозволяє перетворюється на місце суцільних знахідок, оскільки після здійно сказаного тосту просто добре відома людина може проявитися у досі невідомому світлі. Усе це потребує неабиякої майстерності, щирості та любові до людей.

Тамада має ще одну делікатну та відповідальну місію - він повинен зробити так, щоби пирування, яке виникло на первинних засадах бахусу, залишилося святкуванням і не переросло у вакханалію. Серед дослідників побутує думка, що формування інституту тамади у тому вигляді, у якому воно існує, є у грузинів своєрідною ностальгією за монархічним ладом, втіленим у малому масштабі. Застілля - локально-культурний простір, де тамада намагається встановити морально-етичні цінності, втілити ідеальну міні-модель людських взаємовідносин, тільки, на жаль, поступово зміст тамади втрачає характерний пафос, поступово відбувається його десакарлізація, змінюються вимоги. Сучасний тамада часом наче сам себе пародіює, і такого роду іронізація виглядає більш творчою, багатою на гумор і, відтак, більш успішною. У будь-якому випадку збереження інституту тамади у грузинському просторі на разі не відчуває незручності, і зміни, які у ньому відбуваються, частково відображають соціально-культурні процеси.

Маріна Сірбілашвілі-Кіпшідзе

ისტორია, რომორც ხიდი ІСТОРІЯ ЯК МІСТОК



სალომე დადიანი დებთან ერთად

სალომე დადიანი დებთან ერთად

ა/წ 7 აპრილს ზუგდიდის საგამოფენო დარბაზში მოქალაქეები ქალაქის ისტორიამ შევსდნენ. ფოტოგამოფენაზე — სახელწოდებით „გარინდული წამი“ — ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს თანამემამულეებს ის ადამიანები და ის მოვლენები, რომელთაც მეტწილად განაპირობებს ქალაქის წარსული და აწმყო. თუმცა მეცნიერული კვლევებისა და მოხსენებების ნაცვლად, დამთვალიერებლებს მეგზურობა ფოტოებმა გაუწიეს.

თემურ კემულარია, როგორც თვითონ ამბობს, მეექვსე თაობის ზუგდიდელია. მისმა ოჯახმა თითქმის ნახევარი საუკუნე შეაღწა უნიკალური ფოტოების შეგროვებას, ციფრულ ფორმატში გადაყვანას და საექსპონატოდ მომზადებას. ფოტოგამოფენის იდეა დიდი ხნის წინ გაჩნდა, თუმცა მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი, აუდიტორიისთვის მისი წარდგენა. ფოტოებიც და მათი მოკვლევა-შეგროვების ისტორია ბატონ თემურს თავის დედას, ქალბატონ ლუიზა ციმიტას ასხენებს, რომელიც ათეული

3 სьомого квітня цього року виставкова зала Зугдіді зібрала мешканців міста, зацікавлених у його історії, на фотовиставку під назвою «Завмерла мить». Організатори вкотре нагадали його жителям про людей та події, які обумовили минуле та майбутнє Зугдіді. Замість науково-дослідних доповідей відвідувачам показали тільки фото.

Один з організаторів Тему́р Кемула́рія - зугдидець у шостому поколінні, його родина майже півстоліття збирала унікальні фотографії, оцифровувала та готувала до експозиції. Ідея зробити фотовиставку зародилася давно, хоча можливість показати її аудиторії з'явилась тільки зараз. Фотографії та пошуки їх пов'язані з його матір'ю - Луїзою Цимінтією, яка десятиліттями займалася педагогічною діяльністю. Ось що він розповідає: «Будинок, у якому виросла моя матір, був розташований на вулиці Шота Руставелі. Його викупили у родини Дадіані, він за оформленням саду та інтер'єру нагадував резиденцію царської родини. Це розвинуло у матері любов до садівництва, вона вивчила історію цих садівників та їхніх нащадків. Кілька з них виявились її друзями. На цій виставці представлені фотографії німецьких та італійських садівників. Мати

неабияк цікавилась історією, зокрема їхнім родом, оскільки саме завдяки їм Зугдіді став культурним, освітнім та політичним центром». Тему́р Кемула́рія підводить нас до фотографій і детально розповідає історію кожної.

Як з'ясувалося, на виставці здебільшого були представлені фото двох майстрів - Лаврентія Сабахтарішвілі та Сартанія (ім'я невідомо). Як розповідає Тимур, саме ці люди фотографували у кінці XIX - на початку XX ст. гостей та мешканців міста. Серед їхніх робіт є фото Акакія Церетелі. Є фотографія працівників компанії Siemens, які проводили телеграфну лінію. Тут також є знімка письменниці, критика та публіциста Іони Меунаргії, яку зробили у селі Цайші Зугдидського району.

წლების განმავლობაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა: „სახლი, სადაც დედაჩემი გაიზარდა, იყო რუსთაველის ქუჩაზე. ეგ თავის დროზე სალომე დადიანის პირის ფარეშისგან შეიძინეს და გამომდინარე აქედან, ეზოშიც ყვავილებისა და სხვა მცენარეების დეკორატიული წყობა მიმსგავსებული იყო ბოტანიკური ბაღის წყობას. ეტყობა, აქედან გაუჩნდა დედაჩემს სიყვარული მებაღეობისადმი, თავისთავად დადიანების ბაღისადმიც. მათი მებაღეების ისტორია გამოიკვლია, მათი შთამომავლები შეისწავლა, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მათგანი მისი მეგობარიც ყოფილა. ამ გამოფენაზე დადიანების გერმანელი და იტალიელი მებაღეების ფოტოებიც არის წარმოდგენილი. ასე რომ, დედას ძალიან აინტერესებდა ისტორია, დადიანების ისტორია განსაკუთრებით, რადგან სწორედ მათი მშვეობით გახდა ზეგდირი კულტურის, განათლების, პოლიტიკური ურთიერთობების ერთ—ერთი ცენტრი“. თემურ კემულარიას ფოტოებთან მიყვავართ და თითოეულის ისტორიას დეტალურად გვიყვება.

როგორც გაირკვა, ღონისძიებაზე ძირითადად ორი ხელოვნის, ლავრენტი საბახტარიშვილისა და სართანას (სახელი უცნობია), მიერ გადაღებული ფოტოები იყო გამოფენილი. თემურ კემულარია გვიყვება, რომ სწორედ ეს ორი ფოტოგრაფი იღებდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალაქის მკვიდრებსა და სტუმრებს. სტუმრებს შორის გამორჩეული ადგილი აკავი წერეთელს აქვს მიკუთვნებული. ერთგან „სიმენსის“ ჯგუფის წევრებსაც ნახავთ, რომელთაც ტელეგრაფის საზიგაპყავით, აქვე არის მწერლის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის იონა მენუარგიას ფოტო, რომელიც ზეგდირის რაიონის სოფელ ცაიშშია გადაღებული.

განსაკუთრებული ადგილი დადიანების მუზეუმის დამაარსებლის აკაკი ჭანტურიას ფოტოს უკავია. ისტორიკოსები შემთხვევით არ აღნიშნავენ, რომ აქ ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლი ამ დრომდე შესაბამისად არ არის შეფასებული.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი ჭანტურიას მსგავსი მასშტაბის მოღვაწე XX საუკუნეში სულ რამდენიმე გვიყავს. მაშინ, როცა საქართველოს ეროვნულ მთავრობას პრობლემები შეექმნა, აკაკი ჭანტურია ლონდონიდან მოუწოდებდა მთელ ევროპას, მხარში ამოდგომოდნენ ახალ ქართულ სახელმწიფოს. ალბათ სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ერთი შემთხვევაც, რომელსაც რატომღაც არც თანამედროვე მკვლევარები აქცევენ დიდ ყურადღებას: ნოე ჟორდანიამ ბატონი აკაკი დაიბარა და საქართველოს მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, თუმცა ნამდვილმა ინტელექტუალმა უარი განაცხადა ასეთ მაღალ ჩინზე და სთხოვა ჟორდანიას სამეგრელოში მუზეუმის დაარსების ნებართვა. ამგვარი ფაქტი არათუ მაშინდელი, არამედ თანამედროვე საქართველოსთვისაც კი ძალიან უჩვეულოა.“ – ამბობს ერთ—ერთ ინტერვიუში ისტორიკოსი გიორგი კალანდია. კაროლინის შტატის ბარეტის კოლეჯის კურსდამთავრებულმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დადიანების მიმოფანტული განძი შეევსოვებინა და უნიკალური მუზეუმი დაეარსებინა. „ვიმუშავე 12 წელი ისე, რომ შევბულება არ მქონია, თბილისში წასვლისას სშირად მეძინა იატაკზე ან მაგიდაზე, ვწმენდდი და ვვვიდი თვითონ...“ – წერს ერთგან მუზეუმის პირველი დირექტორი, რომელსაც ბედის ირონიით, მუზეუმი იმ ადამიანებმა დაატოვებინეს, რომლებიც თავად აკაკი ჭანტურიამ მიიყვანა ქართული საგანძურის სადარაჯოზე.

აკაკი ჭანტურიას ღვაწლზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მივყვეთ ფოტოგამოფენის სხვა ისტორიულ პერსონებს. გამორჩეული სილამაზით ასეთივე გამორჩეული ადგილი უკავია სალომე დადიანის და მისი დების ფოტოს. თავად სალომე საფრანგეთშია დაკრძალული, მისი მულღუ აშილი კი სამეგრელოში. სხვათაშორის, გამოფენაზე აშილის აკლდამის ფოტოსაც ნახავდით.

თანამედროვეთაგან მეგზური კლოდ დე კემულარიას გამოარჩევს,



Почесне місце займає фото засновника музею Дадіяні Акакі Чантурії. Історики невинпадково наголошують на тому, що робота грузинського вченого та громадського діяча належно не оцінена.

«Сміливо можна стверджувати, що у ХХ столітті людей такого рівня було небагато. У той час, коли у грузинській народній владі виникли проблеми, Акакі Чантурія закликав усю Європу підтримати Грузію. Цей факт спричинив до одного випадку, на який чомусь не звертають особливі уваги сучасні дослідники: Ное Джорданія запросив пана Чантурію до себе і запропонував йому посаду міністра закордонних справ Грузії. Останній відмовився від такої почесної посади і попросив президента дозволити йому у Зугдіді створити будинок-музей. Цей факт не те, що у минулому, а й у сучасній Грузії є рідкісним», - каже у одному зі своїх інтерв'ю історик Гиорги Каландія.

Випускник Коледжу Баретта штату Кароліна зібрав усі коштовності, розкидані по цілому світі, та заснував музей.

Про нього можна розповідати багато, проте ми не затримуємось і прямуємо експозицією далі. Вирізняється красою Саломе Дадіані разом із сестрами. Вона похована у Франції, а її чоловік Ашіл у Мегрелії. Є фотографія його гробівця.

Серед сучасників у експозиції вирізняється член Почесного легіону Франції, політик, представник Франції



რომელიც ზეგდირში ბოლოს 2010 წელს იყო ჩამოსული. საფრანგეთის საპატიო ლეგიონის წევრს, პოლიტიკოსსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთის ყოფილ წარმომადგენელი სიამაყით აღუნიშნავს სამეგრელოში, რომ ამაყობს ქართული ფესვებით. ბატონი თემურ კემულარია ხაზს უსვამს, რომ მისი მემუარების კრებულისთვის წინასიტყვაობა აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა და ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა ჰენრი კისინჯერმა დაწერა.

ფოტოებზე კიდევ ერთი მშვიდობის ნობელიანტია გამოსახული — ბერტა ფონ ზუტნერი, რომლის ურთიერთობა ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახთან 1866 წელს, პამბურგში დაიწყო. ავსტრიელი ქალბატონი მეუღლითურთ იმდენად მოხიბლულა საქართველოზე საუბრით, რომ გადაწყვიტა ეკატერინე ჭავჭავაძეს გაჰყოლოდა.

ჩვენი მიზანი იყო იმ ქვეყანაში მოხვედრა, საიდანაც იაზონმა ოქროს საწმისი გაიტაცა, – წერდა ბერტა.

საქართველოში გატარებული 9 წლიდან 5 მათ ზეგდირში დაჰყვეს. დადიანების კარის სტუმრები ფრანგ ჟურნალისტ ჟიულ მერიესთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნაში იონა მენუარგიას ეხმარებოდნენ...

ბერტას ამავი საქართველოსთან ერთად მთელი მსოფლიოს წინაშე მიუძღვის. პაციფისტმა ქალბატონმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ იმდროინდელ მსოფლიო პოლიტიკურ ელიტას ომებზე მეტად, მშვიდობის განმტკიცებაზე ეფიქრათ...

როგორც ხედავთ, ზეგდირის საგამოფენო სივრცემ უამრავი ისტორია გააერთიანა. ორგანიზატორების ჩანაფიქრიც რეალობად იქცა — თანამედროვე ადამიანებმა წარსულისკენ გაიხედეს და არაერთხელ წაკითხულ—გაგონილ ამბებში ახალი სიღრმეები შეიცნეს.

მალხაზ ჭკადუა

в ООН Клод Декумуларія, який востаннє відвідав Зугдіді 2010 року і завжди пишався своїм грузинським корінням. Кемულарія наголошує, що передмову до його мемуарів написав колишній Держсекретар Сполучених Штатів, володар Нобелівської премії миру Генрі Кісінджер.

На фотографіях є ще один володар премії Берта фон Зутнер, яка з 1866 року заприятелювала у Гамбурзі з родиною гнягині Мегрелії Єкатерини Чавчавадзе . Австрійську пані настільки захопили розмови про Грузію, що вона вирішила поїхати зі своїм чоловіком до цієї країни разом з Єкатериною.

«Нашою метою було потрапити до країни, звідки Яссон викрав золоте руно», - писала Берта.

З дев'яти років у Грузії п'ять вони провели у Зугдіді, гостювали в родини Дадіані і разом з французьким журналістом Жулем Муріє допомагали у перекладі «Витязя у тигровій шкірі» Іоні Меунаргії.

До слова, Берта фон Зутнер була першою жінкою, яка отримала Нобелівську премію миру та другою після Марії Склодовської-Кюри лауреаткою Нобелівської премії у світі. Вона робила усе, аби політична еліта того часу виступала за мир, а не провокувала військові дії...

Як бачимо, зугдідський виставковий простір об'єднав безліч різних історій. Задум організаторів був утілений, аби сучасники подивилися на минуле і не раз прочитані та почуті історії побачили по-новому.

Малхаз Чкадуа



დიარა, ანუ მეგრული ქორწილი DİARA, ABO MEGRELS'YK VEŚİLLY

ნიკა სიმონია ჩვენებურია. ხუთი წლის იყო კიევში რომ ჩამოვიდა. ამჟამად იგი XI კლასის წარჩინებული მოსწავლეა. ოქროს მედლის კანდიდატი. ისტორიაში კიევის რაიონულ თუ საქალაქო ოლიმპიადებში არაერთგზის გამარჯვებული. მცირე აკადემიის ნამდვილი წევრი. ოცნებობს, დიპლომატი რომ გახდეს.

კარგად ესმის, ყოველი ერის სულიერი თუ კულტურული სიმაღლე ფესვებიდან რომ იზომება. ამიტომაც უღრმავდება გონებისთვალთ ფესვებს — ისტორიას, საქართველოს, უკრაინის ისტორიას... მისი გულისყური, ფიქრი და გონება იქითაა მიმართული. ეცნობა ხელმისაწვდომ ისტორიულ პირველწყაროებს, აანალიზებს და არ ეშინია საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმისა.

ნიკას უკვე იცნობს ჩვენი ჟურნალის მკითხველი საინტერესო პუბლიკაციით — „ბრილის სამაროვანი“ („საქართველო“ 1 (12) 2012 წ.). დღეს იგი ქართული ქორწილის ერთ-ერთ ტრადიციამე მოგვითხრობს.

სოსო ჩოჩია

ქრისტიანულ სამყაროში ერთ დროს ძალიან გავრცელებული იყო ე. წ. მისიონერობა: გარკვეულ პირებს ეკლესია აგზავნიდა არაკათოლიკურ ქვეყნებში რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგერგაციის დავალებით. 1635 წ. რომის პაპმა ურბან VII—მ საქართველოში, ოდიშის სამთავროში, მიავლინა არქანჯელო ლამბერტი, იტალიელი კათოლიკე-მისიონერი, რომელმაც აქ 1653 წლამდე დაჰყო. იმოგზაურა სამეგრელოში, აღწერა აქაური ბუნება, ხალხი, მათი წეს-ჩვეულებები. მისი ნაშრომი, სახელწოდებით, „კოლხეთის აღწერა“ ნეაპოლში გამოიცა 1654 წ. ლამბერტის ყურადღება მიიქცია იმდროინდელი ქორწილის წესებმა, რაშიც ზუსტად აისახებოდა მეგრული კაცის ხასიათი.

„ჩვენს ევროპაში როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რო, ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნობას, არც დაბალ შთამომავლობას, როცა არის კარგი და მდიდრული მზითვეი. საზოგადოდ ჰფიქრობენ რომ ყოველსავე ნაკულუევანებას დაჰფარავს ოქრო და ვერცხლი. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იდაბლებენ, ცმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია... მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი. ამიტომაც ქორწინებას ამ ქვეყანაში თუ აბრკოლებს, ისევ ეს ვალდებულება სასიძოსი... ჩვეულებრივ საჩუქრად მოყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები და ან სხვა ამისთანები. ჩემს დროს მოხდა ოდიშის



Ніка Сімонія наш співвітчизник. Йому було лише 5 років, коли він переїхав до Києва, Сьогодні ж він учень 11 класу, кандидат на золоту медаль, неодноразовий переможець київських районних та міських олімпіад. Дійсний член Малої Академії Наук. Мріє стати дипломатом.

Добре розуміє: духовна й культурна висота кожної нації вимірюється і визначається від кореня. Ось чому він углиблюється розумом у корені – в історію, в історію Грузії і України... Його серце, розум, думки й почуття звернені до неї. Він всім своїм єством проживає її. Ознайомлюється з доступними першоджерелами, аналізує і не боїться висказувати свою власну точку зору.

Ніку вже добре знає наш читач цікавою публікацією «Скарб Брілі» («Сакартвело» 1 (12) 2012 р.). Сьогодні він нам розповість про традиції грузинського весілля.

Сосо Чочія

Був період в історії людства, коли було дуже поширене в християнському світі явище місіонерства,

мთავრის და ჩერქებთა სახელგანთქმული ქაშიაქ მეფის ასულის დაქორწინება. ქაშიაქ მეფის მოციქულები მოვიდნენ ოდიშში და მისი სახელით განაცხადეს, რომ მეფეს სურს ეს ქორწინებაო და თხოულობსო საჩუქარად ასს ყმას, სხვადასხვა ქსოვილით და ხალით დატვირთულსო; ასს ძროხას; ასს ხარს და ასს ცხენსო, ამის ასრულებლობა, რასაკვირველია, არ იქნებოდა, რადგან წინაღმდეგ შემთხვევაში ქორწინება არ მოხდებოდა“ , — აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის სამეგრელოში ევროპული შეხედულებები პოპულარული არ იყო და მეგრელები იცავდნენ თავიანთ მამაპაპურ ტრადიციებს. ასევე აღსანიშნავია ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოებრივ გაერთიანებასთან — ჩერქეზეთთან. პირველწყაროს მიხედვით, კერძოდ ქაშიაქ მეფის სურვილი და ინიციატივა იყო გაეთხოვებინა მისი ასული სამეგრელოს მთავარზე; ეს ნიშნავს იმას, რომ ორმხრივი ურთიერთობები საკმაოდ აქტიური, ნაყოფიერი, პროგრესული იყო და ორივე მხარეს აკმაყოფილებდა.

„როცა საჩუქრების რაოდენობა გადაწყვეტილია, ნიშნობას გამართავენ. რადგან გადაწყვეტილი არ არის, თუ რა ხნის უნდა იყვნენ ნიშნობის დროს სასიძო-სარძლო, სულ პატარეებსა, სამი-თხუთი წლისას დანიშნავენ ხოლმე, როცა ზოგჯერ მონათლულებიც არ არიან“, — დანიშვნა ბავშვობის ასაკში ძალიან გავრცელებული ამბავი იყო არა მარტო ქართველებს შორის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ ინდოეთის, ჩინა, თუ შუა აზიისა და სხვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წინაპრები მსოფლიოს ერთიანი ცივილიზაციის განუყოფელი მკვიდრნი იყვნენ.

„ნიშნობისთვის ამორჩეულ დღეს ჩვეულებად აქვთ, რომ სარძლოს მამა ან დედა მოიწვევს სასიძოს ყველა მისი ახლობელ ნათესავებით, და ამ წვეულებაში სასიძომ უნდა მიაღწიოს ნიშნად თავის საცოლეს ან ვერცხლის თასი, ან ბეჭედი, და ან ოქროს ფული. ამით ნიშნობა სრულდება. ვიდრე სარძლო მშობლების სახლში იმყოფება, სასიძომ ყოველ მოსვლაზე უნდა მოიყვანოს თან რამდენიმე ხარი და მოიტანოს ბლომად ღვინო და საჭმელი. ყოველსავე ამას იმავე დღეს გაათავებენ, რადგან დიდ წვეულებას გამართავენ, რომელზედაც მოიწვევენ ახლობელ ნათესავეებს და მეგობრებს. ამ შემთხვევაში, კარგად აღზრდილი ქალები სასიძოს კიდევ რომ შეხვდნენ პირისპირ, არ შეხედავენ, რათა ამით თავის მორცხვობა დაამტკიცონ. ხოლო თუ სასიძო არ მოუშვა და მოინდომა მაინც და მაინც ქალებთან მუსაფიო, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ტკბილი სიტყვის მაგიერ მკვახე პასუხს მიიღებს“, — აქ პარალელის გაღება შეიძლება იმდროინდელ ევროპულ ქალ-ვაჟთა ურთიერთობებთან, რომელთა შორის ის, მორალით აღნიშნული, დისტანცია ნაკლებად დაცული იყო, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე სავალალო საზოგადო ვითარება.

„ყველა რომ შეიკრიბება, ვიდრე სუფრაზე დასხდებოდნენ, მოიწვევენ მღვდელს ან ეპისკოპოსს გვირგვინის



а саме в Європі: церква відправляла проповідників у некатолицькі країни задля пропаганди конгрегації Римсько-католицької віри. У 1635 р. Папа Урбан VII відправив у тогочасне князівство Одіші (Самеґрело) одного з своїх учнів - Дон Арханджело Ламберті - італійського католика-місіонера, який до 1653 р. подорожував Грузією, Самеґрело, та описував місцеву природу, людей і звичаї. Його дослідницька робота була опублікована в грудні 1654 р. у м. Неаполь під назвою «Опис Колхиди». Подорожуючий звернув особливу увагу на канони тамтешнього весілля, яке яскраво відображає характер меґрелів.

